მედიის განვითარების ფონდის, სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდის,

ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის,

ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების

ინსტიტუტის საჩივართან დაკავშირებით

ტელეკომპანია კავკასიის თვითრეგულირების მექანიზმის

ფარგლებში შექმნილი კომისიის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ოთხმა ორგანიზაციამ: მედიის განვითარების ფონდი, სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი – 2015 წლის 7 იანვარს ტელეკომპანია კავკასიის თვითრეგულირების ორგანოს მიმართა ტელეკომპანია კავკასიის ეთერით 26 დეკემბერს თოქ-შოუ სპექტრში გადაცემის წამყვანის, დავით აქუბარდიას მიერ გაკეთებული განცხადებების მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან შესაბამისობის შესწავლის თხოვნით. განცხადების ავტორები თვლიან, რომ გადაცემის წამყვანის მხრიდან დარღვეულია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31–ე მუხლი, ასევე კოდექსის 33.1 მუხლი.

ტელეკომპანია კავკასიის მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად კომისიის სხდომა დაინიშნა 2015 წლის 28 იანვრისთვის, თუმცა კომისიის წევრთა მიერ დასაბუთებული და ობიექტური ხელისშემშლელი გარემოებების გამო დებულების მე–5 მუხლის შესაბამისად კომისიის სხდომა გადაიდო 16 თებერვლისთვის.

2015 წლის 16 თებერვალს ტელეკომპანია კავკასიის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილმა კომისიამ მისის წევრების: ნინო ჯანგირაშვილის, ეკატერინე დათეშიძის და თამარ კაციტაძის შემადგენლობით განიხილა წარმოდგენილი განცხადების კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი და გადაწყვიტა:

კომისია არ განიხილავს წარმოდგენილ განცხადებას, ვინაიდან მისი წარმომდგენი არ შეიძლება ჩაითვალონ დაინტერესებულ პირად ან დაინტერესებულ მხარედ. საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის ტერმინათა განმარტებებში მკაფიოდ არის მითითებული დაინტერესებული მხარის და დაინტერესებული პირის განმარტება:

"**დაინტერესებული მხარე** - ნებისმიერი პირი, რომელსაც ეხება ან რომელიც ნახსენებია პროგრამაში ან მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს გადაწყვეტილებაში.

"**დაინტერესებული პირი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა.

კომისიის გადაწყვეტილებით განმცხადებელი ორგანიზაციები არ შეესაბამებიან ამ განმარტებებს, შესაბამისად არ წარმოადგენენ დაინტერესებულ პირს. საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის თანახმად კი კომისიაში მომართვის უფლება აქვს მხოლოდ დაინტერესებულ პირს.

კომისიის გადაწყვეტილება შესაძლოა შვიდი დღის ვადაში გასაჩივრდეს დებულების 10–ე მუხლის შესაბამისად , შვიდი დღის ვადაში სააპელაციო კომისიაში.

16.02.2015

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ჯანგირაშვილი